რატომ უნდა მოვითხოვოთ სკოლაში კვება

საკვანძო აქცენტები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

EFA
განათლების
კოალიცია

რატომ უნდა მოვითხოვოთ სკოლაში კვება

საკვანძო აქცენტები

დოკუმენტი მოამზადა განათლების კოალიციამ USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია განათლების კოალიცია. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

რატომ არის საქართველოში მნიშვნელოვანი სასკოლო კვების პროგრამის ამოქმედება? 5
რას გულისხმობს სასკოლო კვების პროგრამა? 7
რა არის სასკოლო კვების პროგრამის მიზნები და მისი განხორციელების ჩარჩო? 10
ბენეფიციარები და დაფარვის არეალი 11
სასკოლო კვების მოდელი 11
პროგრამის მართვა და ლოგისტიკა 11
დაფინანსება 11
როგორია სასკოლო კვების აპრობირებული მოდელები? 12
სასკოლო კვების პროგრამების დაფარვა სხვადასხვა ქვეყნებში 13
დაფინანსებისა და მართვის გამოცდილება 14
როგორი უნდა იყოს სასკოლო კვების მოდელი საქართველოში? 15
როგორ უნდა დაინერგოს სასკოლო კვების პროგრამა საქართველოში? 16
როგორ უნდა მოხდეს სასკოლო მოდელის მართვა და დაფინანსება საქართველოში? 16

სკოლაში კვება მნიშვნელოვანი წინაპირობაა როგორც ბავშვების ჯანმრთელობის, ისე საგანმანათლებლო მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის. მით უფრო ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. საქართველოს არ აქვს შემუშავებული სასკოლო კვების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა და სასკოლო კვების შესახებ ცალსახა საჯარო პოლიტიკა.

განათლების კოალიცია აწარმოებს ადვოკატირების კამპანიას სასკოლო კვების სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს სასკოლო კვების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების მოკლე მიმოხილვას და წარმოაჩენს საქართველოში მისი განვითარების აქტუალობას.

სასკოლო კვების საკითხზე მუშაობა განათლების კოალიციამ 2021 წლიდან დაიწყო, როდესაც გამოიცა კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი „საქართველოში სასკოლო კვების სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება და პერსპექტივები“. დოკუმენტს მოჰყვა ყურადსაღები გამოხმაურება მედიაში, საზოგადოებასა და სამოქალაქო სექტორში, რამაც საკითხის წამოწევას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ბოლო წლებია, არაერთ მედიაპუბლიკაციაში თუ სატელევიზიო გადაცემაში ვხედავთ, როგორ ღიად საუბრობენ მასწავლებლები, მშობლები, სფეროს ექსპერტები და თავად მოსწავლეები სასკოლო კვების უკიდურეს აუცილებლობაზე და სკოლებში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე.

დროა, სახელმწიფომ რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყოს !!!

რატომ არის საქართველოში მნიშვნელოვანი სასკოლო კვების პროგრამის ამოქმედება?

საქართველოში გამოკითხულ მოსწავლეთა 77% ამბობს, რომ სკოლაში მისვლის დროს ხანდახან **(42%)** ან ყოველთვის **(35%)** განიცდის შიმშილის გრძნობას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს წიგნიერებაში მოსწავლეთა დაბალ შედეგებზე (NAEC, 2019).

2022 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმადაც, სასკოლო საათებში კვება მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ვინაიდან სასკოლო საათების განმავლობაში ყოველდღიურად იკვებება ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%), არ იკვებება ბავშვების 35%. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში კვების არქონის შემთხვევები მნიშვნელოვნად უფრო ხშირია (45%). აქვე უნდა ითქვას, რომ კვების დროს არ არის აღწერილი, რამდენად ჯანსაღად და დაბალანსებულად იკვებება ბავშვი.



მოძრაობა „ხმა“-ს მიერ ჩატარებულ მასწავლებელთა კვლევაში ვკითხულობთ იმ უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, რასაც ისინი კლასში მოსწავლეთა შიმშილის გამო აწყდებიან.

სახლში წავა და საჭმელი ახ ლახვლება, შეიძლება, მშობელიც ახ ლახვლეს. მოსწავლეთა 70 პროცენტს ეთი მშობელი ჰყავს ადგილზე, ალბათ. ბებია-პაპას ანაბახა ახიან. კვება ახის ყველაზე მნიშვნელოვანი – ინტერესი გაუჩნდება, რომ მივიდეს სკოლაში და მშიერი ახ იქნება.

მულტიმედია პლატფორმა Chai Khana-ს პუბლიკაციაში ასევე ვეცნობით მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოცდილებას კვების დანაკლისთან დაკავშირებით:

„გაკვეთილზე [ჯანსაღი კვების შესახებ] აღმოვაჩინე, რომ კლასში ნახევარზე მეტი ხოჩცს მხოლოდ ღღესასწაულზე ჭამს. სახლში კი, ძირითადად, ნახშირწყლებით - პური, ღომი, მაკარონი, კარტოფილი - იკვებებიან ” *- მასწავლებელი.*

“20 თეთრი ხომ არ გაქვს? ლარი ხომ არ შეგიძლია ლამიმატო? ამ 20-20 თეთრით ხშირად ვაგროვებთ ლარნახევარს ლობიანისთვის. ბუჩგერი გაგვიყვია ჩამდენიმე ბავშვს ლუკმებად... “მომაკბეჩინეო” - უთქვამს ჩემთვის ჩემს მეგობარს.” *- მოსწავლე*

საერთაშორისო კვლევებისა და ეროვნული შეფასებების მიხედვით, საქართველოში მოსწავლეთა მიღწევებზე გავლენის მქონე ფაქტორებში ყველაზე მნიშვნელოვანს მათი ოჯახების სოციო-ეკონომიკური სტატუსი წარმოადგენს. ამ მონაცემებთან მიმართებაში საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე და სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა მიღწევებს შორის (NAEC, 2020). სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე მოსწავლეების წილი მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში 20% შეადგენს.

საქართველოში 16 წლამდე 230 865 ბავშვი 200-ლარიან საარსებო შემწეობას იღებს – ასეთია სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის ივნისის ოფიციალური მონაცემები. ეს რიცხვი ამ ასაკის ბავშვების 28%-ზე მეტია. შესაბამისად, გამოდის, რომ **საარსებო შემწეობას** 16 წლამდე ბავშვებიდან თითქმის **ყოველი მეოთხე იღებს.**



კვების დეფიციტი, ყველა ფორმით ყველაზე დიდ ტვირთად აწვება იმ ბავშვებს და მოზარდებს, ვინც უღარიბეს და მარგინალიზებულ თემებში ცხოვრობენ (UNICEF, 2019).

სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით ბავშვები მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რიცხვი ბევრად აღემატება მათ რაოდენობას, ვინც საარსებო შემწეობას იღებს. კერძოდ, ამ ბაზაში რეგისტრირებულია 18 წლამდე 340 281 ბავშვი (37.7%) და ქვეყნის მოსახლეობის მესამედი – 1 202 105 ადამიანი. სოც-სააგენტოს ეს მონაცემი წარმოდგენილი აქვს ოჯახების რაოდენობის მიხედვითაც – კერძოდ, ბაზაში რეგისტრირებულია 373 421 ოჯახი, რაც 35%-ს შეადგენს.

ყოველი მეოთხე – რას ამბობენ რიცხვები ბავშვთა სიღარიბეზე. პუბლიკა. 2023 წელი.

35%

საარსებო შემწეობას იღებს

საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოზარდების ორგანიზმში ისეთი მიკროელემენტების ნაკლებობა, როგორიცაა რკინა და იოდი, რაც მათ ზრდის, განვითარებისა და ანემიის საშიშროებას უქმნის. საყურადღებოა ჭარბი წონისა და სიმსუქნის მაჩვენებლების მატებაც 2000 წლის მონაცემებთან მიმართებაში (22% - გოგონებში, 26% - ბიჭებში). ერთ პოპულაციაში რკინის დეფიციტის, რაც მნიშვნელოვნად ნუტრიციულ პრობლემას წარმოადგენს და სიმსუქნის მზარდი მაჩვენებლის ერთიანობაში დაფიქსირება მიუთითებს, რომ ბავშვები ვერ იღებენ შესაბამის დაბალანსებულ კვებას. მეტწილად იკვებებიან უფრო ხელმისაწვდომი მაღალკალორიული, მაგრამ ნაკლებნუტრიციული საკვებით. აღნიშნული კი ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების ყურადსაღებ რისკებს წარმოადგენს.

რას გულისხმობს სასკოლო კვების პროგრამა?

ზოგადი განმარტების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის საგანმანათლებლო ან სხვა სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ ორგანიზებული სისტემური ინიციატივა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა კვება სასწავლო დღის განმავლობაში. სასკოლო კვების პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა დაბალანსებულ კვებაზე, რაც ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და აკადემიური მოსწრების ზრდას.

სასკოლო კვება ბევრად მეტია, ვიდრე შიმშილის აღმოფხვრა.

თანამედროვე მიდგომაში ყურადღება ეთმობა სპეციალური კურიკულუმის საშუალებით საკვებთან დაკავშირებულ განათლებას, სკოლის გარემოში ჯანსაღი საკვების შეთავაზებას და ერთობლივად კვების სოციალური გარემოს წახალისებას.

სასკოლო ჯანმრთელობისა და კვების პროგრამები ფინანსურად ეფექტიანი ინვესტიციაა. გარდა იმისა, რომ მას აქვს დადებითი გავლენა განათლებასა და ჯანმრთელობაზე, ასევე იკვეთება მისი მხარდამჭერი როლი სოციალური დაცვისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მიმართულებით (ადგილობრივი წარმოებისა და ბიზნესის ჩართვა, დასაქმება). იმავდროულად, სასკოლო კვების გლობალური ანგარიშის მიხედვით:

- პროგრამა ყოველ ერთ დახარჯულ დოლარზე უკან აბრუნებს 9 დოლარს. ასეთ პროგრამებში განხორციელებულ ინვესტიციებს აქვს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი და თაობათაშორისი სარგებელი;
- მას წვლილი შეაქვს ადამიანური კაპიტალის შექმნასა და ერების მდგრად განვითარებაში;
- სასკოლო ჯანმრთელობის და კვების პროგრამები განათლებისა და ჯანმრთელობის მიმართულებით თანასწორობასა და ჩართულობას უწყობს ხელს.

შესაბამისად, სასკოლო კვების პროგრამა სულ უფრო მეტად აღიარებული ხდება გლობალურად და განიხილება როგორც სოციალური დაცვის ხანგრძლივი ინსტრუმენტი, რომელიც დროულად, მყისიერად დახმარებას უწევს ბავშვებსა და მათ ოჯახებს. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველდღიური სასკოლო კვება წარმოადგენს:

- სკოლაში დასწრების ძლიერ სტიმულს. სისტემური მეტაკვლევები (Snilstveit and others 2015) აჩვენებენ, რომ, კვების პროგრამის არსებობის პირობებში, სკოლაში დასწრების მაჩვენებელი მზარდია და საშუალოდ 8 დღით ზრდის სასწავლო წლის განმავლობაში დასწრებას.
- იმავდროულად, იგი იძლევა მოსწავლეების ხანგრძლივი დროით სკოლაში დაყოვნების შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ ჩართვას **არაფორმალური განათლების აქტივობებში – კლუბებში**, წრეებში, სპორტულ აქტივობებში და სხვა.
- აღსანიშნავია, რომ სასკოლო კვების საკითხის აქტუალიზებას ხელი შეუწყო პანდემიამაც, რადგან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მოსწავლეთა სასწავლო დანაკარგების გამო რემედიალური პროგრამების შემოღება და მოსწავლეების სკოლაში დაყოვნება.

„სასკოლო კვების გლობალური კოალიციის“ ანგარიში - 2023 *მომზადებულია UNESCO-ს ეგიდით, გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), მსოფლიო სუსსათის პროგრამასთან (WFP) და გაეროს სუსსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) პარტნიორობით.*

ანგარიშის ძირითადი გზავნილებია:

- მსოფლიოში სასკოლო კვება ერთ-ერთი ყველაზე **გავრცელებული სოციალური დაცვის პროგრამაა** და ამ პროგრამით დაწყებით სკოლაში თითქმის **ყოველი მეორე ბავშვი სარგებლობს**;
- მოსწავლეთა ჯანმრთელობა, კვება და კეთილდღეობა აკადემიური მიღწევების და განათლების **ხარისხის საკვანძო ფაქტორებია**;
- იქ, სადაც სასკოლო კვება არსებობს და მოსწავლეებს ნუტრიენტების საჭირო რაოდენობა მიეწოდებათ, სასკოლო ასაკის ბავშვები და მოზარდები **უფრო ჯანმრთელები და პროდუქტიულები არიან**, ნაკლებად აცდენენ სკოლას, მათ შორის ავადმყოფობის მიზეზით;
- სასკოლო ჯანმრთელობისა და კვების პროგრამები **ხელს უწყობს განათლების შედეგების გაუმჯობესებას**, რაც ეფექტიანი ინსტრუმენტია სწავლაში კრიზისის დასაძლევად.

„სასკოლო კვების გლობალური კოალიცია“

კოალიცია პანდემიის შემდგომ მალევე, 2020 წელს ჩამოყალიბდა. იგი 76 ქვეყნის პოლიტიკური ლიდერობით შეიქმნა. გაერთიანება აქტიურად მუშაობს სასკოლო კვების პროგრამების მოდელების განვითარებაზე და მათი დანერგვის/გაფართოების ადვოკატირებაზე. სასკოლო კვება კი გაგებულია როგორც საზოგადოების მდგრადი სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. კოალიციის საქმიანობას მხარს უჭერს განვითარების სფეროში მომუშავე 83 ორგანიზაცია, რომელთა შორისაც არიან გაეროს ძირითადი სააგენტოები და პარტნიორები.

საქართველოდან სასკოლო კვების გლობალურ კოალიციაში 2023 წელს გაწევრიანდა განათლების კოალიცია, თუმცა საქართველოს სახელმწიფო გლობალურ კოალიციაში ამ ეტაპზე არ მონაწილეობს. განათლების კოალიცია მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს გაწევრიანება სასკოლო კვების გლობალურ კოალიციაში უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს საქართველოში ხსენებული პროგრამის ეფექტიანი დანერგვისათვის. შესაბამისად, განათლების კოალიცია მოუწოდებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაჩქარებულად წარმართოს სასკოლო კვების გლობალურ კოალიციაში ქვეყნის გაწევრიანების პროცესი და აქტიურად ჩაერთოს მის საქმიანობაში.

მსოფლიო ქვეყნების 90% სხვადასხვა ხარისხით უზრუნველყოფილია სასკოლო კვებისა და კეთილდღეობის პროგრამებით

სასკოლო კვების 2023 წლის გლობალური ანგარიში

მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში** სასკოლო კვების სისტემამ სოციალური ცვლილების საუკუნოვანი გზა გაიარა. ამ პერიოდის მანძილზე ვითარდებოდა და ფართოვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა, სულ მცირე, 30-ჯერ შეიცვალა. ქვეყანამ გაითავისა სასკოლო კვებასთან დაკავშირებული წესები და მოლოდინები, რის საფუძველზეც შეინარჩუნა და დაიცვა ეს სისტემა.

აქვე უნდა აღინიშნოს **აშშ**-ს მაგალითიც, სადაც სასკოლო კვება ყველა მოსწავლისათვის 1946 წელს „ნაციონალური სკოლის სადილის აქტის“ საფუძველზე დაკანონდა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში მანამდეც არსებობდა მინიმალური დახმარებები გაჭირვებული ბავშვებისათვის, თუმცა ამას ერთიანი, სისტემური ხასიათი არ ჰქონდა. ასევე, მნიშვნელოვანია სასკოლო კვების პროგრამაში ბოლო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც 2010 წელს მიიღეს. იგი „ჯანმრთელი, შიმშილისაგან თავისუფალი ბავშვების აქტის“ სახელითაა ცნობილი და ეფუძნება სასკოლო კვების ახალ სტანდარტებს და მედიცინის ინსტიტუტის დამოუკიდებელ ექსპერტთა რეკომენდაციებს. ძირითადი აქცენტი სასკოლო კვების მოდელებიდან კეთდება საკვების სკოლაში დამზადებაზე, თუმცა, ამავდროულად, არსებობს სახლში წასაღები ულუფები და კონკურენტუნარიანი საკვები („Smart snacks“), რომელშიც იგულისხმება წასახემსებელი საკვები ავტომატებიდან. პროგრამების განხორციელებაში ჩართულია როგორც ფედერალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლებები და ორგანიზაციები, ხოლო დაფინანსება ხდება შერეული მოდელით (სრული მიზნობრივი და თანადაფინანსება მშობლებისა და სკოლების მხრიდან). კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლაში კვების პროგრამის განხორციელება ამცირებს მოსწავლეების მიერ სკოლის გაცდენებს, ზრდის მათი განათლების დონეს, რაც ტესტირებისას მიღებულ ქულებზე დადებითად აისახება. მიუხედავად აშშ-ს დიდი გამოცდილებისა და პროგრამის წარმატებისა, ქვეყანა მუდმივად მუშაობს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

ფინეთი მსოფლიოში ასევე ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ჯერ კიდევ 1948 წელს უფასო სასკოლო კვება დანერგა. კვება გამოყენებულია როგორც პედაგოგიური ინსტრუმენტი ჯანსაღი ცხოვრების წესის, მანერებისა და კვების კულტურის სასწავლებლად. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო კვების ორგანიზება ასევე მოიაზრებს მოსწავლეებისა და მშობლების ჩართვას თავად პროცესში. პროგრამის მონიტორინგს მუნიციპალიტეტები ახორციელებენ.

საფრანგეთში ლანჩის მისართმევად განსაზღვრულია ნახევარი საათი, რათა მოსწავლეებმა კვების დროს სოციალიზაციაც შეძლონ. რეგულაციებთან შესაბამისობის მონიტორინგს აქაც მუნიციპალიტეტი ეწევა. მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს ასევე სასკოლო კვების ღირებულებას ეროვნული კანონის ლიმიტების შესაბამისად.

რა არის სასკოლო კვების პროგრამის მიზნები და მისი განხორციელების ჩარჩო?

2019 წელს გამოქვეყნებული სასკოლო კვების პროგრამების გლობალური კვლევა, რომელშიც 103 ქვეყანა მონაწილეობდა, წარმოაჩენს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედ სასკოლო კვების პროგრამებს (The Global Child Nutrition Foundation, 2019).

ანგარიშის მიხედვით, იკვეთება ხუთი ძირითადი მიზანი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად ყველა ქვეყანა ცალსახად გამოყოფს განათლების ხელშეწყობას, როგორც ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს.

მიზნები	**პროგრამებში გათვალისწინებული მიზნები (%)**
განათლების ხელშეწყობა	**93**
ჯანმრთელობის გაუმჯობესება	**88**
სოციალური დაცვა	**75**
ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა	**35**
სიმსუქნის შემცირება	**25**

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სასკოლო კვების პროგრამის ძირითადი მიზნები, მისი შემუშავება, დანერგვა და ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მრავალსეგმენტიან დაგეგმვაზე. სასკოლო კვების პოლიტიკის ფორმირებისას გასათვალისწინებელი საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და თითოეული მათგანი არსებით გავლენას ახდენს პროგრამის საბოლოო დიზაინზე, მასშტაბსა და შედეგებზე.

სასკოლო კვების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელოვან ასპექტებს ერთიანი **ჩარჩო სქემის** სახით წარმოგიდგენთ:



ბენეფიციარები და დაფარვის არეალი

გულისხმობს პროგრამის სამიზნე ჯგუფის დაზუსტებას. დაგეგმვისას გასათვალისწინებელია შემდეგი მონაცემები: სკოლების რაოდენობა და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა საფეხურების, გეოგრაფიული მდებარეობის და სხვა დაკავშირებული პარამეტრების მიხედვით.

სასკოლო კვების მოდელი

სასკოლო კვების მოდელით გათვალისწინებული უნდა იქნას ულუფის ტიპი (ადგილზე მომზადებული, მზა სადილის ყუთი, ფორტიფიცირებული ხემსი და ა.შ.) და, ასევე, მისი შემადგენლობა და ნუტრიციული ღირებულება.

პროგრამის მართვა და ლოგისტიკა

პროგრამის დიზაინის ფარგლებში უნდა აღიწეროს ყველა მნიშვნელოვანი პროცესი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული. ასევე, განისაზღვროს მხარეთა პასუხისმგებლობები, ოპერაციული მართვის მოდელი და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

ლოგისტიკის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქტის მოწოდებისა და დისტრიბუციის (ერთიანი, დიფერენცირებული) საკითხები, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის მდებარეობასთან, ინფრასტრუქტურასა და მოსწავლეთა რიცხოვნობასთან. ასევე, მნიშვნელოვანია დისტრიბუციისა და პროდუქტის მოწოდების საკითხში ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისა და მონაწილეობის მხარდაჭერა.

დაფინანსება

სასკოლო კვების პროგრამის შემუშავებისას განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს დაფინანსების ოდენობა და წყარო, რაც მჭიდრო ურთიერთკავშირშია მასშტაბთან, მართვის მოდელთან და პროგრამის სხვა განმსაზღვრელ ცვლადებთან.
სასკოლო კვების პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია შესაბამისი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და განახლების ციფრული ინფრასტრუქტურის გამართვა.

როგორია სასკოლო კვების აპრობირებული მოდელები?

- **სკოლაში კვების მოდელი** გულისხმობს, ყოველდღიურად სკოლაში მოსწავლეებისთვის მზა საკვების მიწოდებას ფიქსირებულ დროს (უმეტესად საუზმე ან/და სადილი). ეს მოდელი საჭიროებს სკოლებში საკვების მოსამზადებლად შესაბამის სამზარეულოს აღჭურვილობას ან მზა საკვების ორგანიზებულ მიწოდებას.

- **ფორტიფიცირებული საკვები** - მიკრონუტრიენტებით (ვიტამინებითა და მინერალებით) გამდიდრებული საკვები. მიკრონუტრიენტების დეფიციტის დროს ფინანსურად ყველაზე მომგებიანი და ეფექტიანი მეთოდია. უმეტესად გვხვდება წასახემსებელი საკვების ფორმით, მაგ., ფორტიფიცირებული ორცხობილები. მსოფლიო სასურსათო პროგრამის ფარგლებში, განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მაღალკალორიული (450კკალ/100გრ) ფორტიფიცირებული ორცხობილები, რომლებიც განკუთვნილია კრიტიკული სიტუაციებისთვის, საკვებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის დროს. 100გრიანი ფორტიფიცირებული ორცხობილების შეფუთვის ფასი საკმაოდ დაბალია - 0.12$.

- **სახლში წასაღები ულუფები (Take home rations)** - საკვების მიწოდების სიხშირე დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, უმეტესად გულისხმობს ყოველთვიურად ან სეზონურად საკვების მიწოდებას მოსწავლისთვის (და შემდეგ სახლში მოხმარებას).

- **სადილის ყუთი (Lunch box)** - ყოველდღიური საკვები, წინასწარ მომზადებული მზა კერძი, რომელიც მოწოდებულია მესამე პირის მიერ (მაგ. მშობელი).

- **ადგილობრივი პროდუქტების გამოყენებაზე ორიენტირებული მოდელი (Home grown school meal)** მოსწავლეებს სთავაზობს საკვებს ადგილობრივი პროდუქციის გამოყენებით, რომელსაც აწვდიან ადგილობრივი მეწარმეები.

- **მიკრონუტრიენტების ფხვნილი** - დოზირებული საშეტი, რომელიც შეიცავს მშრალ მიკრონუტრიენტებით გაჯერებულ ფხვნილს. ფხვნილი შეიცავს 15-მდე მიკრონუტრიენტს, რომელიც შესაძლებელია დაემატოს მზა კერძს. მნიშვნელოვანია, დოზა განისაზღვროს მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მეთოდია, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, წარმატებულად იქნა გამოყენებული სხვადასხვა ქვეყანაში. ეს მოდელი განსაკუთრებით ეფექტურია მოსწავლეებში ნუტრიენტების დეფიციტის დროს, მაგალითად, ანემიის შემთხვევაში.

სასკოლო კვების პროგრამების დაფარვა სხვადასხვა ქვეყნებში

სასკოლო კვების პროგრამის დაფარვის ხარისხი განისაზღვრება რიგი პარამეტრებით, მათ შორისაა: მიზნობრივი ჯგუფების შერჩევა (სასკოლო საფეხურები) და გეოგრაფიული და/ან ინდივიდუალური პარამეტრები (სოციალური თუ სხვადასხვა სტატუსი და კონ-კრეტული ლოკაციები/რეგიონები).

სასკოლო კვების პროგრამების გლობალური კვლევის მონაცემებით, ვლინდება დადე-ბითი კორელაცია ქვეყნის შემოსავლიანობასა და დაფარვის ხარისხის მაჩვენებელს შორის: მაღალშემოსავლიან ქვეყნებში მოცვის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.

> **პროგრამის მოცვის/დაფარვის არეალის განსაზღვრისას ერთ-ერთი სტრატეგია, რომელსაც ქვეყნები მიმართავენ, ეფუძნება კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფის შერჩევის პრინციპს, სადაც პრიორიტეტი ენიჭება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა, პროგრამის განხორციელების მაჩვენებელი გაიზარდოს კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფში. ზემოთ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე 14-მა ქვეყანამ სწორედ ეს სტრატეგია გამოიყენა. მაგალითად, მოლდოვამ, ყირგიზეთმა, ფინეთმა სკოლის დაწყებითი საფეხურის მიზნობრივ ჯგუფში პროგრამით დაფარვის 95%-იან მაჩვენებელს მიაღწია.**

კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ რიგი ქვეყნები სამიზნე ჯგუფების იდენ-ტიფიცირებისას მიმართავენ გეოგრაფიულ თუ ინდივიდუალურ მახასიათებლებს. ამ მხრივ, უმეტეს შემთხვევაში, აქცენტი კეთდება გეოგრაფიულ პრიორიტეტებზე. მაგ., კენიაში განხორციელებული სასკოლო კვების პროგრამა ორიენტირებულია სასოფლო რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებზე. ასევე, ტოგოში ეროვნული სკოლის კვების პროგ-რამა გათვლილია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ღარიბ მოსახლეობაზე. პროგრამის გეოგრაფიული ნიშნით განხორციელება უმეტესად დამახასიათებელია დაბალშემოსავ-ლიანი ქვეყნებისთვის (Bundy et al., (2009). ინდივიდუალური მხარდაჭერის კრიტერიუმი შეიძლება იყოს სქესი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი ან შეზღუდული შესაძლებლობები. მაგალითად, მონღოლეთში ეროვნული სასკოლო კვების პროგრამა ორიენტირებულია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე.

დაფინანსებისა და მართვის გამოცდილება

ქვეყნების უმრავლესობა, მიუხედავად მათი შემოსავლებისა, მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფენ სასკოლო კვების პროგრამების დაფინანსებისთვის. გლობალურად სახელმწიფოს დაფინანსების წილი სასკოლო კვების პროგრამაში საკმაოდ დიდია.

პრაქტიკა ასევე აჩვენებს, რომ სასკოლო კვების პროგრამის ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პირდაპირპროპორციულია. ხელმისაწვდომი კვლევების მიხედვით, შესწავლილი ქვეყნების პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ ერთ მოსწავლეზე გამოყოფილი საშუალო თანხა მთელი წლის მანძილზე საშუალოდ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში 54$-ია, საშუალო შემოსავლების ქვეყნებში - 82$, ხოლო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების შემთხვევაში კი - 693$ (Gelli et al., 2013).

სასკოლო კვების პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწოდების ჯაჭვისა და ლოგისტიკის სწორ ორგანიზებასა და გამართულ ფუნქციონირებას. უმრავლეს ქვეყანაში სასკოლო კვების პროგრამის მართვა ცენტრალიზებულად ხორციელდება. საკვების მიწოდების მართვა და კონტროლი ეროვნულ დონეზე მიმდინარეობს, რომელსაც მთავრობა აკონტროლებს. ცენტრალიზებული მართვის მოდელის გამოყენების შემთხვევაში კვების რაციონში უმეტესად ჩართულია ფორტიფიცირებული პროდუქტები. ამავდროულად, ასეთ მოდელში შედარებით მაღალია ტრანსპორტირებისა და მენეჯმენტის ხარჯი და გართულებულია მრავალფეროვანი და ახალი პროდუქტების ჩართვა რაციონში (WFP, 2017). კუბაში და ჰონდურასში ახლახან შემოიღეს შერეული მართვის მოდელი, რომლის მიხედვითაც საბაზისო პროდუქტების მიწოდების მენეჯმენტი ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ხოლო მალფუჭებადი, ახალი პროდუქტების მიწოდება ხორციელდება ადგილობრივად: სკოლების, მუნიციპალიტეტების ან კოოპერატივების მიერ (WFP, 2017). აღსანიშნავია, რომ პროგრამის დეცენტრალიზებული მართვის მოდელი გამოირჩევა მეტი მოქნილობით და მრავალფეროვანი კვების რაციონით.

აღსანიშნავია მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო კვების პროგრამის მასშტაბის ეტაპობრივ ზრდას, ფართოდაა გავრცელებული გლობალურ პრაქტიკაში და წარმატებით ხორციელდება. თვალსაჩინოა კავშირი პროგრამის მოცვის მაჩვენებელსა და მისი დაწყების ხანგრძლივობას შორის. სასკოლო კვების პროგრამის დანერგვასთან ერთად, წლების განმავლობაში, ეტაპობრივად შეინიშნება მისი მოცვის მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია. პროგრამის მიმდინარეობის ყოველი მომდევნო წელი უზრუნველყოფს მოცვის მაჩვენებლის ზრდას დაახლოებით 0.27%-ით

The Global Child Nutrition Foundation, 2019

როგორი უნდა იყოს სასკოლო კვების მოდელი საქართველოში?

კვების მოდელთან მიმართებაში საქართველოში ყველაზე მიზანშეწონილ (ოპტიმალურ) ვერსიას მომავალი ათი წლის განმავლობაში წარმოადგენს სადილის ყუთი (ლანჩბოქსი), რომელიც შეიკვრება ადგილზე (სკოლაში) ან მზა სახით მიეწოდება სკოლებს. ეს მოდელი გულისხმობს მოსწავლეების კვებას სკოლის ტერიტორიაზე, თუმცა საკვების დამზადება სკოლაში არ მოხდება.

ამ მოდელის არჩევანს ორი მიზეზი განაპირობებს.

- პირველ რიგში, ეს მოდელი გვიქმნის შესაძლებლობას, ერთდროულად დავისახოთ სასკოლო კვებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მიზანი - კერძოდ, ხელი შევუწყოთ მოსწავლეების სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას, გავხადოთ სკოლა უფრო მიმზიდველი ადგილი მოსწავლეებისთვის, გავაუმჯობესოთ მოსწავლეების კვებითი რაციონი და ჯანმრთელობა, ხელი შევუწყოთ ჯანსაღი კვების იდეის პოპულარიზაციას. სადილის ყუთების მოდელის გამოყენება ხელს შეუწყობს ბავშვების უფრო მეტი ხნით დარჩენას სკოლაში და დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების მიღებას.

- ამასთანავე, მიზნების მრავალფეროვნების პარალელურად, ეს მოდელი ოპტიმალურია მისი შედარებით მცირე ფასისა და ლოგისტიკის სიმარტივის გათვალისწინებით (მაგალითად, ე.წ. „სკოლაში კვების“ მოდელთან შედარებით, რაც საკვების სკოლაში დამზადებას გულისხმობს). მიუხედავად „სკოლაში კვების“ მოდელის გარკვეული უპირატესობებისა, საქართველოს კონტექსტში რთული იქნება მისი განხორციელება. ეს განპირობებულია იმით, რომ სკოლების უმრავლესობას შესაბამისად აღჭურვილი სამზარეულოები არ გააჩნია.

„სადილის ყუთის“ მოდელის ფართომასშტაბიანი გამოყენების პარალელურად შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში სხვა მოდელების ან მათი კომბინაციების გამოყენება, რომლებიც სასკოლო კვების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვის ნაწილშია აღწერილი.

გასათვალისწინებელია, რომ, „სადილის ყუთის“ მოდელის არჩევის შემთხვევაში, სკოლებს მაინც მოუწევთ სასადილო სივრცის მოწყობა, თუმცა ამ მოდელებისათვის, „სკოლაში კვების“ მოდელთან შედარებით, ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის ხარჯი უფრო დაბალია.

მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მოდელის არჩევის პირობებში არსებობდეს სასკოლო კვების სახელმწიფო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს რაციონისა და სერვისის ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებს. ამგვარი სტანდარტი წარმატებით მოქმედებს საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებების შემთხვევაში.

სასკოლო კვების პროგრამა, სოციალური სტატუსის მიუხედავად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლისთვის, რესურსების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, სახელმწიფო პროგრამისთვის მეორე პრიორიტეტს წარმოადგენს საბაზო საფეხურზე სასკოლო კვების შემოღება. სასკოლო განათლების ამ საფეხურზე პროგრამის დანერგვის მნიშვნელოვნებას განაპირობებს მოსწავლეების სკოლაში დაყოვნების მაღალი მაჩვენებელი (ისინი სულ მცირე 5 საათის განმავლობაში იმყოფებიან სკოლაში).

მცირეკონტინგენტიან სკოლებში, სადაც მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა არ აღემატება 50-ს, პროგრამა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა საფეხურის მოსწავლისათვის.

რადგან სასკოლო კვება სოციალიზაციის, სასკოლო კლიმატის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, იგი კლასში ყველა მოსწავლისთვის თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამავე მიზეზით, მცირეკონტინგენტიან სკოლებში (50-ზე ნაკლები მოსწავლე) მიზანშეწონილი არ არის პროგრამის ამოქმედება მხოლოდ ერთი საფეხურის მოსწავლეებზე, თუ ამ სკოლაში სხვა საფეხურის მოსწავლეებიც სწავლობენ.

ქვეყნის გეოგრაფიის, ადგილობრივი დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული თუ ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით სასკოლო კვების პროგრამის მიდგომა შესაძლებელია იყოს დიფერენცირებული და კონტექსტს მორგებული. მსხვილ ქალაქებში შესაძლოა იმუშაოს დისტრიბუციის სისტემამ, ხოლო მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ ადგილებში აქცენტი გაკეთდეს თემზე დაფუძნებულ მიდგომაზე და მცირე საოჯახო მიმწოდებლებზე.

როგორ უნდა დაინერგოს სასკოლო კვების პროგრამა საქართველოში?

საქართველოში სასკოლო კვების საბოლოო მოდელის დანერგვა შესაძლებელია ეტაპობრივად - მასშტაბისა და დაფარვის თანდათანობითი ზრდით. ამგვარ მიდგომას რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, რადგან:

- **ამით საბოლოო მოდელის დანერგვისთვის საჭირო თანხების მობილიზების დრო გაიზრდება;**
- **ეტაპობრივი დანერგვა უზრუნველყოფს მოდელის ძირითადი მიდგომების პილოტირებას და კონტექსტზე უკეთ მორგებას;**
- **ეტაპობრივი დანერგვა ერთგვარი პრიორიტეტიზაციის ინსტრუმენტი იქნება, რადგან დანერგვის საწყის ეტაპზე ხელმისაწვდომი რესურსები შესაძლებელია მიმართულ იქნას ყველაზე მეტად მოწყვლად ჯგუფებსა და რეგიონებზე.**

ეტაპობრივი დანერგვის მიდგომის შერჩევისას შესაძლებელია გეოგრაფიული ნიშნით ადგილების შერჩევის ორი პრინციპის ან მათი კომბინირების გამოყენება:

- ადგილების შერჩევისას გამოყენებულ იქნას სოციალური ნიშანი - ბიუჯეტის სიმცირის პირობებში მოდელი შეიძლება გამოიცადოს იმ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც სოციალურად დაუცველი მოსწავლეების წილი განსაკუთრებით მაღალია.
- გეოგრაფიული ნიშნით შერჩევისას საქართველოში, ასევე, გასათვალისწინებელია რელიეფი, ცენტრიდან დაშორება, საგზაო ინფრასტრუქტურა და სასკოლო ქსელის განფენილობა. შესაბამისად, სასკოლო კვების მოდელის გამოცდისთვის და კონტექსტზე მორგებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პილოტირებაში ეტაპობრივად ჩაერთოს ყველა ჩამოთვლილი ნიშით განსხვავებული რეგიონი.

მიუხედავად იმისა, სასკოლო კვების პროგრამა ცენტრალიზებულად განხორციელდება თუ დეცენტრალიზებულად, აუცილებელია, განისაზღვროს სკოლის დაფინანსება პროგრამის ადმინისტრირების ხარჯებისთვის. „სადილის ყუთის“ მოდელის შემთხვევაშიც კი, როდესაც სკოლას არ სჭირდება ადგილზე საკვების მომზადება, მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსი სასკოლო კვების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო პროცესების მართვისთვის.

როგორ უნდა მოხდეს სასკოლო მოდელის მართვა და დაფინანსება საქართველოში?

საქართველოში საჯარო ფინანსების განაწილების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასკოლო კვების პროგრამის სახელმწიფო პროგრამის სახით ამოქმედება ჯანდაცვის სფეროში არსებული მიზნობრივი პროგრამების მსგავსად (ამ პროგრამებს ამტკიცებს მთავრობა და ახორციელებს დარგობრივი სამინისტრო).

იმავდროულად, შესაძლებელია პროგრამის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით პროგრამის განხორციელების დელეგირება მუნიციპალიტეტებზე. დელეგირება გულისხმობს დადგენილი სტანდარტებით სერვისის მიწოდებისთვის შესაბამისი ფინანსებისა და უფლებამოსილების გადაცემას თვითმმართველი ერთეულისთვის. ასეთ შემთხვევაში ზედამხედველობის ფუნქციას ინარჩუნებს სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ცენტრალური უწყება. საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, მსგავსი მოდელი ქვეყნების მეოთხედში გამოიყენება.

ქვეყნების დიდ ნაწილში სასკოლო კვების პროგრამებს ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს და საქართველოს შემთხვევაშიც, ეს მოდელი ოპტიმალურად შეიძლება ჩავთვალოთ. შესაძლებელია, სტანდარტებისა და სტრატეგიის შექმნაში მონაწილეობა მიიღონ დონორმა ორგანიზაციებმა.

ალტერნატივას წარმოადგენს ე.წ. „შერეული მოდელის“ გამოყენება მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით - მოსწავლის კვება დაფინანსდეს მშობლის თანამონაწილეობით. ოჯახების მონაწილეობა სასკოლო კვების თანადაფინანსების საკითხში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა მსოფლიოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში სასკოლო კვებისთვის ხელმისაწვდომი ღირებულების გადახდის მზაობა UNICEF-ის მიერ ჩატარებულ ზემოხსენებულ კვლევაში მშობლების 74%-მა გამოთქვა. თუმცა მისი განხორციელება გარკვეულ გამოწვევებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. კერძოდ, არსებობს რისკი, რომ მშობლების ნაწილმა (რომლებიც არ შედიან სოციალურად დაუცველი ჯგუფების კატეგორიაში) უარი განაცხადონ აღნიშნული ხარჯების გაღებაზე, რაც დაარღვევს პროგრამის საყოველთაო გამოყენების პრინციპს, გავლენას მოახდენს სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და, შესაბამისად, პროგრამის მიზნებზე.

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

EFA
განათლების
კოალიცია

რატომ უნდა მოვითხოვოთ სკოლაში კვება

საკვანძო აქცენტები

2023